№ 50529

Date 16.03.2020

RMG COPPER

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ სს „RMG Copper"-ს დაგეგმილი აქვს სს „RMG Copper"-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოჟონილი დაბინძურებული წყლების გაწმენდის მიზნით, გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 10.6. ქვეპუნქტის მიხედვით: *„ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია"* ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ სს „RMG Copper"-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოჟონილი დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართები:

1. სს „RMG Copper"-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან გამოჟონილი დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

სს RMG Copper, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
JSC RMG Copper, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

სს „RMG Copper"- ის

აღმასრულებელი დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
* 225358341 *